საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

N 2-08/14256
27/08/2021

14256-2-08-2-202108271656

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის**
**მეურნეობის მინისტრის მოადგილეს**
**ქალბატონ ნინო თანდილაშვილს**

**ქალბატონო ნინო,**

მოგეხსენებათ, რომ საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის (F3) უბისა-შორაპანის მონაკვეთის მშენებლობის განხორციელების დროს გამონამუშევარი ფუჭი ქანების №8 სანაყაროს მოწყობის პროექტი შეთანხმებული იქნა თქვენი 2020 წლის 17 ნოემბრის N10856/01 წერილით, აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამშენებლო კომპანია „ჩინეთის გზების და ხიდების კორპორაცი“-ის განმარტებით, სამშენებლო სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელებისათვის №8 ფუჭი ქანების სანაყაროზე საჭირო გახდა 2 შვიდმეტრიანი საფეხურის დამატება.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად, სკრინინგის პროცედურისთვის, ელექტრონული სახით გიგზავნით, აღნიშნულ პროექტზე სათანადო ინფორმაციას და გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და წარმოგვიდგინოთ თქვენი გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადების საჭიროებასთან დაკავშირებით.

დანართი: სკრინინგის ანგარიში „2“ (ორი) წიგნი და „1“ (ერთი) დისკი.

**პატივისცემით,**

ლევან კუპატაშვილი

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge